ცნობის ფურცელი

№ 2244 შაბათი, 23 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2244

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. მ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2-მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

საჭიროა
ახალგაზდა ქართველი ექიმი
კერძო სამკურნალოსათვის.
ექიმმა უნდა იცხოვროს მუდმივ თვით სამკურნალოში.
მიმართეთ: გედევანიშვილის საავადმყოფოში დირექტორს და კბილის ექიმს ჭიჭინაძეს. (6—ნ.—5)

სია

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1—21 აგვისტოს განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
300	ივანე ნაკაშიძე.	6	—
301	დიმიტრი თ. ახვლედიანი .	6	—
302	მიხეილ ა. გედევანიშვილი .	6	—
303	ალექსანდრე მ. ბერელაშვილი	6	—
304	ნესტორ ი. აბაშიძე . . .	6	—
305	ლევან ზ. აბდუშელიშვილი.	6	—
306	ლადო ს. კორძაია. . . .	6	—
307	ალექსანდრე ლ. გოცირიძე .	6	—
308	ნიკო თ. დეკანოზიშვილი .	6	—
		54	—
	სულ წლის განმავლობაში	2325	53

საზღვარ-გარედ

მაკედონია. აჯანყებულნი სტამბოლს ახლოაც გაჩნდნენ. ოსმალეთის მთავრობა ძლიერ შეშინდა და ბრძანება გასცა, შესაფერისი ღონისძიება მიიღონ და სატახტო ქალაქის მიდამოები რიგიანად დაიცვან. თითონ სტამბოლშიაც ყველა საეჭვო ბოლგარს ატუსაღებენ. იქნება აჯანყებულნი სატახტო ქალაქის მიდამოებშიაც გაჩნდნენ და იქაური შენობები და რკინის გზები დინამიტით ააფეთქონ და აიკლონ. სტამბოლს ახლო ბევრი ბოლგარის სოფელია და ესენი ყოველ დახმარებას გაუწევენ აჯანყებულთ. აჯანყებულთ სტამბოლის წყლის მილის წახდენა ადვილად შეუძლიანთ. ორიოდე დინამიტის პატრონა კმარა, რომ სოფ. ბელგრადს ახლო განთქმული წყლის აუზები დაანგრიონ. სატახტო ქალაქში ცვარი წყალი აღარ იქნება და მთელი სტამბოლი დიდ გასაჭირში ჩავარდება.

სტამბოლიდან უცხოეთის გაზეთებს სწერენ: მაკედონიის ჯარის უფროსად ოსმალეთის მთავრობამ ნასირ-ფაშა დანიშნა. ახალი სარდალი ბეჯით კაცად ითვლება. სტამბოლიდან გვარდიის კორპუსის 8 ბატალიონს ბრძანება მოუვიდა, იმში წასასვლელად დაემზადენითო. გვარდიის გაყვანამ სატახტო ქალაქიდან ყველანი გააკვირვა; ამბობენ, არავის ახსოვს, რომ ეს ჯარი სატახტო ქალაქიდან დაეძრათო.

◆ „რეიტერის სააგენტოს“ დაწვრილებითი ცნობები მოუვლია კრუშევოს აღების თაობაზე. კრუშევო მთაზე მდებარეობს, ბიტოლიიდან 8 საათის სავლელ მანძილზე, ჩრდილოეთ-დასავლეთით. ამ ქალაქში 10 ათასი მცხოვრებელია; მომეტებულ ნაწილად მაკედონიელი რუმინები (კუცო-ვლახები) დგანან. აქაური რუმინები ვაჭარი და შეძლებული ხალხია; ამათ შორის ცოტაოდენი ღარიბი ბოლგარიც ცხოვრობდა. ამ ქალაქის სიმდიდრე დიდი ხანია ჰშურდათ მეზობელ-ოსმალებს. კრუშეველ ბოლგარებსაც ყოველთვის საიდუმლო მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ გამართული მაკედონიის კომიტეტთან. ადგილობრივ ოსმალოს მოხელეებს ეს ამბავი გაგებული ჰქონდათ. კრუშევოს მაზრის უფროსმა ბიტოლიის ვალის სთხოვა, ჯარი მომაშველეთო, მაგრამ გვიან-ღა იყო, რადგან კვირას, 2 აგვისტოს (ახ. სტ.) ბოლგარებმა აჯანყება დაიწყეს. ადგილობრივ ბერძნის ეკლესიაში ჯვარის წერა იყო; ჯვარის წერის შემდეგ ერთი ბოლგარი ეკლესიაში დაიმალა, ღამე სამრეკლოში ავიდა და ზარი დარეკა. ზარის რეკაზე 300 ბოლგარი შემოვარდა ქალაქში, ყველაზე წინ ბოლგარებმა მაზრის უფროსის სახლს შემოარტყეს ალყა და ცეცხლი წაუკიდეს. ადგილობრივი ჯარი—სულ 30 კაცი იყო—აჯანყებულთ დაიმორჩილეს და ყველანი დახოცეს; ჯარის გარდა ყველა ოსმალის მოხელეც გასწყვიტეს; მარტო ოსმალოს ჰარამხანებს არ ახლეს ხელი. დილით აჯანყებულთ დროებითი მთავრობა დააწესეს და 10 ქრისტიანი სიკვდილით დასაჯეს. ამ ქრისტიანებს ის ბრალი ედებოდათ, რომ ბოლგარების განზრახვა ოსმალებს შეატყობინესო. შეძლებულ კაცებს 40 ათას მარკის გადახდა დააკისრეს. აჯანყებულთ გამარჯვების ამბავი მალე გაიგო ყველამ. კრუშევოში გარშემო სოფლებიდან ბოლგარები მოვიდნენ და იარაღი ითხოვეს, მაგრამ აჯანყებულთ მეტი იარაღი არა ჰქონდათ; მაშინ სოფლელ ბოლგარებს სანგრების ამოთხრა დაავალეს ჯარის შესაფარებლად. გაიგო თუ არა კრუშევოს აღების ამბავი პრილეპის ოსმალმა კომენდანტმა, კრუშევოში სამი ესკადრონი ცხენოსანი ჯარი გაჰგზავნა; აჯანყებულები გზაში ჩაუსაფრდნენ ამ ჯარს და 100 კაცი მოუკლეს; დანარჩენი ჯარი შეშინდა და გაიქცა, მხოლოდ 17 აგვისტოს (ახ. სტ.) ბახტიარ-ფაშამ კრუშევოში ერთი ბატარეია და 7 ბატალიონი ქვეითა ჯარი წაიყვანა. ბახტიარ-ფაშამ ბრძოლის წინ შეუთვალა აჯანყებულთ, ქალები და ბავშვები ქალაქიდან გაიყვანეთო, მაგრამ აჯანყებულთ არ აასრულეს ეს რჩევა. ოსმალებმა ქალაქს ზარბაზნის სროლა დაუწყეს. გარშემო სოფლებიდან მრავალი ოსმალი მოვიდა ბახტიარ-ფაშის ბანაკში. ამ ოსმალებმა კარგად იცოდნენ შეძლებულ კაცების სახლები და როცა ბახტიარ-ფაშამ ქალაქი აიღო, ჯარის-კაცებს გაუძღვნენ და სადაც უფრო მეტის ღავლის აღება შეიძლებოდა, იქ მიიყვანეს. მოქალაქეები სახლებიდან გამოჰყავნდათ, ატიტვლებდნენ და დედიშობილას უშვებდნენ; იმათ ქონებასაც იტაცებდნენ. ბევრი ქალი გააუპატიურეს. ვინც წინააღმდეგობას გაჰბედავდა, მაშინვე ჰკლავდნენ. ერთი ბერძენი ნიკოლა პუსკასი თავის ქალს მიეშველა, ჯარის-კაცებმა მაშინვე ცულით აჩეხეს. თუ ქალს სამაჯურს ადვილად ვერა ჰხსნიდნენ, მაშინვე ხელსა სჭრიდნენ. რაც ჯარის-კაცებს გადარჩათ, ის კიდევ სოფლელმა ოსმალებმა თავიანთ ცხენებს აჰკიდეს და თან წაიღეს. ბოლოს სახლებს ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. სამს დღეს გასტანა ამ ძარცვა-გლეჯამ და მთელი ეს სამი დღე ქალები და ბავშვები მხეც ოსმალ ჯარის-კაცების და ბაშიბუზუკების ხელში იყვნენ. ბიტოლიაში მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ გაჰგზავნეს კრუშევოს აღების ამბავი. ამბობენ, ოსმალებმა კრუშევოში მაკედონელ რევოლიუციონერთა 109 აგენტი დაატუსაღეს და მონასტირში გაჰგზავნესო.

◆ ოსმალეთის მთავრობამ დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალა შეუკვეთა გერმანიის ქარხნებს. გაზეთები იუწყებიან: მაუზერის ქარხანა შურობს, რომ ოსმალეთის ჯარისათვის, რაც შეიძლება მალე, 200 ათასი თოფი დაამზადოსო. გერმანიის უმთავრესი პატრონის ქარხნები ძალზე ცდილობენ, რომ ოსმალებს დროზე ჩააბარონ 100 მილიონი პატრონა. ოსმალეთმა გერმანიის ქარხნებს 250 ათასი კილო უბოლო თოფის წამალი შეუკვეთა. ეს წამალიც ხელად უნდა დამზადდეს. იარაღი და მასალა ოსმალეთს მაკედონიის აჯანყების ჩასაქრობად უნდა.

◆ დიდმა ვეზირმა ბოლგართ ექსარხოსი იოსები მიიწვია და სთხოვა, თქვენს მრევლს ბოლგარებს ურჩიეთ, ოსმალეთს დაჰმორჩილდნენო. ექსარხოსმა უპასუხა ფერიდ-ფაშას: „მეტად ვწუხვარ, რომ იმის უდიდებულესობის ხონთქრის ბძანების ასრულება არ შემიძლიან, რადგან მაკედონიაში ყველა მღვდელი და მასწავლებელი სატუსაღოში სხედან და ყველა სკოლა დახურულია. ჩემს დარიგებასა და რჩევას იქ არ გაიგონებენ, იქ მარტო იარაღის ჭახა-ჭუხი ისმის“-ო.

◆ მაკედონიის რევოლიუციონურ კომიტეტებს გენერალი ცონჩევი უწევს ხელმძღვანელობას, მაკედონიელ აჯანყებულთ—ბორის სარაფოვი. ეხლა კომიტეტები და აჯანყებულთ უფროსები შეერთებულან და საერთო მოქმედების პროგრამა შეუდგენიათ. ამ შეთანხმების თაობაზე ოფიციალური ქაღალდი დაუწერიათ და ყველა გამოჩენილ მეთაურს ხელი მოუწერია. აჯანყების უფროს მეთაურად ისევ ბორის სარაფოვი დარჩება. რაკი ყველა კომიტეტი შეთანხმდა და საერთოდ იმოქმედებს, იმედია, აჯანყება მაკედონიაში უფრო გაძლიერდეს. ამას იქით აჯანყებულთ უფრო ერთი პირი და თანხმობა ექნებათ.

◆ „ნოიე ფრაიე პრესე“-ს ლონდონელ კორესპონდენტს გამოჩენილ ინგლისელ დიპლომატ და აღმოსავლეთის საქმის მცოდნე ჰენრი დრუმონდ ვოლფთან მაკედონიის საქმეზე ულაპარაკნია. ვოლფს უთქვამს, თუ მაკედონიის მდგომარეობა რიგზე არ გაუმჯობესდა, მაკედონია არ დაწყნარდებაო. მაკედონიის აჯანყება, ვოლფის აზრით, სულ იმის ბრალია, რომ 1879 წლის ბერლინის კონგრესის დადგენილება მაკედონიის თაობაზე არ შეასრულეს. ეს დადგენილება, რომ ასრულებულიყო, მაკედონელ ქრისტიანეთა საქმე კარგად მოეწყობოდა. საერთაშორისო კომისიამ აღმოსავლეთ რუმელიის მმართველობისათვის კარგი წესდები შეადგინა და აკი აღმოსავლეთ რუმელიის საქმე კარგადაც წავიდა. (აღმოსავლეთი რუმელია ეხლა ბოლგარიის ნაწილს შეადგენს.) ბერლინის ხელშეკრულობის ძალით, რუმელიის გარდა, სხვა ოლქებისათვის უნდა შეედგინათ წესდება; ეს წესდება სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიებს უნდა შეემუშავებინათ. მაგრამ კომისიები მეტად აშურდნენ, თანხმობით ვერ მოიქცნენ და წესდებაზე ოსმალეთის დელეგატებს ხელი არ მოაწერინეს. ამისთანა წესებს რაღა ძალა უნდა ჰქონოდა ოსმალეთისათვის? რუმელიის წესდება მაშინვე აასრულეს, დანარჩენ ოლქებისათვის შედგენილი პროექტები აღარ აასრულეს და 25 წლით დამარხეს. მაშ როგორ უნდა ეშველოს მაკედონიასა და სხვა ოლქებს? მთელი ევროპა უნდა გაერიოს ამ საქმეში, სხვაფრივ არა ეშველება რა. ჯერ ევროპის სახელმწიფოებმა კონფერენცია უნდა მოახდინონ და მერე კომისიებმა მაკედონიისა და სხვა ოლქების ავტონომიის პროექტი შეადგინონ. ხონთქრის უმაღლესი უფლება ხელ-შეუხებლად უნდა დასტოვონ. ოლქების ავტონომიის გარანტია მთელმა ევროპამ უნდა იკისროსო. კორესპონდენტს უკითხავს, ავტონომიას ახალი შფოთი და უწესოება ხომ არ მოჰყვებაო. ვოლფს უპასუხნია: „აღმოსავლეთ რუმელიაზედაც ეგრე ამბობდნენ, მაგრამ სინამ წესდებას ძალა ჰქონდა, იქ არაფერი შფოთი არ მომხდარაო“.

ავსტრო-უნგრეთი. ჰუნგრეთის სამინისტროს კრიზისი მეტად გაგრძელდა. ამ კრიზისმა დიდი გავლენა იქონია ყველა აქაურ ერზე. ხორვატები თავად უკმაყოფილონი იყვნენ, ამ ჰუნგრეთის კრიზისმა ხომ უფრო გაათამამა თურმე. ამბობენ, იქნება ხორვატიაში მალე უფრო დიდი აჯანყება მოხდეს და ხორვატებმა სრული დამოუკიდებლობა მოითხოვონო. გაზეთები სწერენ:

„ხორვატიის ახალმა ბანმა გრაფ თეოდორ პეიაჩევიჩმა, როცა ხორვატიის ბანობა მიიღო, გამოაცხადა, მამაჩემივით მოვიქცევიო. ამისი მამაც ხორვატიის ბანად იყო და როცა ჰუნგრეთის მთავრობა 1883 წ. ხორვატებს უკანონოდ და უსამართლოდ მოექცა, მაშინვე თავი დაანება თანამდებობას. ახლაც ბანმა სამხედრო წესები გაუქმა და მრავალი დატიმრებული გაანთავისუფლა. ამისთანა რიგიანი ქცევით ბანმა ხორვატების გული მოიგო, რადგან პეიაჩევიჩის წინამორბედი, ეხლანდელი პირველი მინისტრი კუენ-ჰედერვარი მეტად სასტიკად იქცეოდა. ხორვატია თითქმის დამშვიდდა, მაგრამ ბოლოს დროს, ქალ. ზაგრებში და სოფელ ზაპრეშიჩში ხალხმა კიდევ მოახდინა დემონსტრაცია ჰუნგრეთის წინააღმდეგ; ჟანდარმებმა ხალხს კიდევ თოფი ესროლეს და კიდევ მრავალი ხალხი დაატუსაღეს. ხორვატების სეიმშიაც ოპოზიცია უფრო თამამად იქცევა; ავტონომიის მომხრეები უფრო გაბედულად ლაპარაკობენ, ჰუნგრეთის მომხრე პარტიას კი თანდათან ძალა ეცლება. თუ ჰუნგრეთის კრიზისმა

დიდხანს გასტანა, ხორვატიის ოპოზიცია მეტად გაძლიერდება და უარესად საქმეს გაუჭირებს ჰუნგრეთის მთავრობას.

ინგლისი. გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ კაპის სამინისტრო პარლამენტში კენჭის ყრის დროს დამარცხებულა. სამინისტროს გადაუწყვეტია, თითონ სამსახურში დარჩეს, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს.

ახალი ამბავი

✦ **სადგილ-მამულო და საიჯარო გადასახადი** ჩერნომორის გუბერნიის ოლქებსაც გააწერეს. სოჩას ოლქში საიჯარო გადასახადი გაუწერიათ 5,517 მან., სადგილ-მამულო—1,192 მან. ტუაფსესაში: საიჯარო—2,761 მ., სადგილ-მამულო—579 მ.

✦ ყოველ წლიწადს ამიერ-კავკასიაში **გადმოსახლებულ რუსთა** საჭიროებებს ხაზინა დიდ ძალ ფულს ანდომებს. აი, ეხლაც ბაქოს საგუბერნიო ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რომ მარტო ბაქოში დასახლებულ რუსთათვის გადაიდოს 50,000 მანეთი, რადგან წინად გადადებული საკმაოდ არ უცვნიათ.

✦ 21 აგვისტოს ტფილისის სასწავლებელთა კომისიამ განიხილა საინტერესო მოხსენება ა. იაგ. თეიმურაზოვისა, რომელიც კოჯორის მახლობლად ტფილისს უთმობს ადგილს ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვის საზაფხულო ახალშენის გასამართავად. კომისიამ დაადგინა, დაავალოს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს წარუდგინოს გამგეობას თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა მოსწავლეთათვის საზაფხულო ახალშენი. ამავე დღეს კომისიას უნდა დაენიშნა ორი სტიპენდია საბებიო ინსტიტუტში, მაგრამ ეს საქმე გადასდო, რადგან მთხოვნელთა შესახებ ცნობებია შესაკრები.

✦ დღეისთვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებისა**.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თამამშევმა გუშინ განცხადება შეიტანა **ბელგიის უსახელო საზოგადოებაზე**. განცხადებაში აღნიშნულია ის გარემოებანი, როდესაც საზოგადოებას ხელშეკრულობა დაურღვევია და ქალაქისთვის ზარალი მიუყენებია. პირველი ზარალი ქალაქისა ის არის, რომ საზოგადოება ხელშეკრულობის წინააღმდეგ 150 მუქთ ბილეთზე მეტს არიგებს. მარტო ამით ქალაქს 9550 მანეთზე მეტი ზარალი მოსდის. ხმოსანს საჭიროდ მიაჩნია, წინადადება მისცეს საზოგადოებას, არავის აძლიოს მუქთი ბილეთები ქალაქის გამგეობის დაუკითხავად. ამას გარდა საზოგადოებამ ქალაქს 150 მუქთ ბილეთის ნაცვლად წელიწადში უნდა აძლიოს 7500 მან. ეს მოხსენება გადაეცა ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიას.

✦ 21 აგვისტოს ქუჩების **საუკეთესო სისტემით** მომკირწვლელმა კომისიამ დაადგინა შეუდგეს ეხლავე ლაზარევისა და ყაზბეგის ქუჩების საუკეთესო სისტემით მოკირწვლას. კომისიამ დაადგინა აგრეთვე ზომა ტროტუარებისა. იმ ქუჩაზე, რომელსაც ოთხ საჟენზე ნაკლები სიგანე არა აქვს, ტროტუარის სიგანე უნდა იყოს ერთი მესამედი ქუჩის სიგანისა, ხოლო დანარჩენ ქუჩებზე—$1^{1}/_{2}$ არშინი. იჯარადრებს ყველას უარი გამოუცხადა კომისიამ, რადგან ბევრს თხოულობენ. კომისიამ დაადგინა იჯარით ქუჩის გაკეთება იმას მისცეს, ვინც თავის მასალით საჟენზე 3 მანეთს დასჯერდება.

✦ ფინანსთა მინისტრმა ნება დართო მომავალ წლის იანვრამდე მსურველთ უბაჟოთ გამოიწერონ საზღვარ-გარეთიდან **სეტყვასთან საბრძოლველი მორტირები**.

✦ 21 აგვისტოს, ბელაგორის სადგურთან მატარებლის **№ 2 ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა**. უბედურება არა მომხდარა-რა.

✦ **თელავიდან გვწერენ**: 14 აგვისტოს აქ ჩამოვიდნენ ტფილისის საბალახნო სკოლის მოსწავლენი და სკოლის გამგე ბ-ნი ჯაფარიძე. იმ დღეს თელავი ინახულეს, მეორე დღეს — მარიამობას — ღლუობაში წავიდნენ თეთრ-გიორგის სოფ. აწყურის თავში, ხოლო 16 აგვისტოს წავიდნენ წინანდალში კახეთის საუფლისწულო მამულის და სარდაფის დასათვალიერებლად. იქიდან ჩაივლიან ქვემოდ და ტფილისში დაბრუნდებიან.

✦ **სიღნაღის თვით მმართველობას** განუზრახავს გადასახადი დაადოს პოვოსკისა და საპალნის ცხენების პატრონებს. ამის შესახებ შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ.

✦ **მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებული** ი. ს. მედვედიევი გუშინ ჩამოვიდა ტფილისში.

✦ ამას წინად ტფ. ქალაქის გამგეობამ ინჟენერთა ინსტიტუტის ლაბორატორიას პეტერბურგში გაუგზავნა გამოსაკვლევად ნიმუშები სხვა და სხვა ქვებისა, რომლითაც ქალაქის ქუჩები უნდა მოიკირწყლოს. ლაბორატორიას **საუკეთესო ქვად ქუჩების მოსაკირწყლავად** უცვნია რუმინიის ქვა.

✦ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი პეტრე მალატხია, პაპია და მებანია პასუხის გებაში მიეცათ ქალის მოტაცებისთვის. ოლქის სასამართლოს ამათთვის გადაუწყვეტია ყოვლისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: მალატხიასი ერთის წლით და 3 თვით, ხოლო პაპიას და მებანიასი—თითო წლით. ბრალდებულთ განაჩენი განუსაჩივრებიათ სამოსამართლო პალატაში, რომელმაც ეს საქმე განიხილა 21 აგვისტოს, დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ 21 აგვისტოს სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების კოზმან გუმბერიძისა, რომელსაც 7 წლის ქალის გაუპატიურება ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს გუმბერიძისთვის გადაუწყვეტია 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ პოლიციას აღმოუჩენია, რომ პოლიციის მე 7 ნაწილში, ტრედატოვსკის ქუჩის მოსახვევში, ტფილისის მოქალაქის დოვლათბეგოვის სახლში გიგოლა პაპაშვილი ეს ორი წელიწადია ცვილის სანთელს ამზადებს და ასაღებს. პაპიშვილს უთქვამს, ამ ხელობით თვეში 25 მან. ვიღებ და ამით ვცხოვრობო. პოლიციელებს პაპაშვილის ბინაზე უნახავთ 12 გირვანქა სანთელი, მანქანები და იარაღი. პაპაშვილი დააპატიმრეს.

✦ 21 აგვისტოს, პოლიციის მე-8 ნაწილში, ჯიბგირებს სპარსელის მამედ-ალი-ოღლისთვის მოტყუებით ამოუცლიათ 100 მანეთი. სპარსელს პოლიციისთვის შეუტყობინებია, მაგრამ ჯიბგირები ველარ უპოვნიათ.

რუსეთის ქრონიკა

✦ კერჩის ქუჩებში ქალაქის უფროსის შემდეგი განცხადებაა გაკრული:

1) ვიწვევ ქარხნების მუშებს დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სამუშაოს.

2) საქარხნო ინსპექტორი შემოივლის ყველა ქარხნებს და მოისმენს მუშების საჩივარს.

3) ვისაც მუშაობის განგრძობა არ სურს, შეუძლია ანგარიში გაასწოროს.

4) ყოველი მუშა, რომელიც ძალ-დატანებით გააწყვეტინებს სხვებს მუშაობას, დაპატიმრებული იქმნება და უშორეს გუბერნიაში გაიგზავნება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

ვუცხადებ აგრეთვე ქ. კერჩის მცხოვრებლებს, ნუ შეგროვდებიან ქუჩებში ამბის საყურებლად. ჯარი რომ იარაღს იხმარს, შეიძლება ისინიც იმსხვერპლოს უდანაშაულოდ.

✦ გამოეცხადა უმაღლესი მადლობა ნიკოლაევის უფროსს კონტრ-ადმირალ ენკვისტს სამაგალითო მოქმედებისათვის, რომლითაც მან ისახელა თავი ქალაქში მომხდარ არეულობის დროს.

✦ 15 აგვისტოს დასრულდა უკანასკნელი სხდომა გერმანელ დელეგატებისა და რუსეთის რწმუნებულთა, რომელთაც მოლაპარაკება ჰქონდათ სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ. მოლაპარაკებას არავითარი საბოლოო შედეგი არა ჰქონია. ორის უმთავრეს პირობის მიღებაზე, რომელნიც რუსეთის ძირითად მოთხოვნილებას შეადგენენ, გერმანიის დელეგატებმა უარი განაცხადეს. ეს პირობანია: პურის ტარიფის შემცირება და ყველა იმ აკრძალვათა გაუქმება, რომელნიც შეეხებიან რუსეთიდან გაგზავნილ საკლავ საქონელსა და ფრინველს.

✦ ოფიციალურ ცნობებით, ჩინეთიდან ერთი ექვსად უფრო მეტი საქონელი შემოაქვთ რუსეთში, ვიდრე რუსეთიდან ჩინეთში გააქვთ. ჩინეთში უმთავრესად გააქვთ სხვა-და-სხვა ჩითები, ნავთი, ტყავი, რკინა, შაქარი და არაყი. ჩინეთიდან შემოაქვთ—ჩაი, აბრეშუმი, ხამი ტყავი და ბეწვი.

✦ სტატისტიკური ცნობებით პეტერბურგში 1,248,000 მცხოვრებელია. ამ რიცხვიდან 120,000 კაცი უსაქმო ხალხია, რომელიც სხვა-და-სხვანაირი შემოსავლით ცხოვრობს, 17,000 კაცი—სამუშაოს ეძებს, 15,000 მშობლებისა და ნათესავების ხარჯზეა, 520 ათასი სხვა-და-სხვა ხელობით რჩება (295,000 კაცი და 225 ათასი ქალი); 210 ათასი ვაჭრობას მისდევს, საქონლის გადატანით და მეეტლეობის ხელობით 93 ათასი კაცი რჩება, 273 ათასი კაცი—ხელობის უცოდინარი, სხვა-და-სხვა საქმეს მისდევს. ჯარში და ფლოტში—62 ათასი კაცია, ადმინისტრაციაში—55 ათასი, აღმზრდელ-მასწავლებელთა რიცხვი—26 ათასია, სამკურნალო სფეროში მოსამსახურეთა—23,500; მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას—16,500 კაცი მისდევს, ღვთის მსახურებას—10,800, პოლიციის მოხელეთა რიცხვი—10,500, სასამართლოთა უწყებაში—5,500 კაცია; ხელზე მოსამსახურეთა რიცხვი 50 ათასია.

პრესა

რკინის გზებზე მოსამსახურეთა შემდეგ, გაზ. „პეტერბ. ვედომ." ეხება ცხენის რკინის გზებზე მოსამსახურეთა გაჭირვებულ მდგომარეობას და ამბობს:

აღმოჩნდა, რომ ოდესსის ცხენის რკინის გზაზე მოსამსახურენი დღეში 19 საათს მუშაობდნენ. მერე იცით რასა სჩივიან ეს მოსამსახურენი—ისეთ გარემოებას, რომელიც იქნება ფიქრადაც არ მოსვლია თავის დღეში ქალაქის გულ-მოდგინე მკვიდრს. ჯარის კაცებს, ვარჯიშობის დროს დრო-გამოშვებით Вольно-ს უბრძანებენ, დაასვენებენ ხოლმე, ამბობენ ისინი, ჩვენ კი ამასაც მოკლებულნი ვართო.

იქნება იფიქროთ, რომ „გოზგების" ჭრა და ცხენების მართვა ადვილი საქმეაო, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ მთელი დღის განმავლობაში ცხენის რკინის გზის მოსამსახურეს არა აქვს დრო დაჯდეს, დაისვენოს, ფიქრები შემოიკრიბოს; მათმა ამგვარმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ დაბადა ერთგვარი განსაკუთრებული სნეულება, რომელიც მხოლოდ ცხენის რკინის გზებზე მოსამსახურეთა სჭირთ. არ შეიძლება არ შეგვეცოდოთ ეს გაწვალებული მუშაკნი, არ გავკვირვოთ გულ-ქვაობა ცხენის რკინის გზების გამგეობათა, რომელნიც არაფერ ყურადღებას არ აქცევენ თავის მოსამსახურეთა მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს.

როდა შემოიღეს კანონი საქარხნო ინსპექციის შესახებ, სახეში ჰქონდათ მხოლოდ საქარხნო მრეწველობა, ჰფიქრობდნენ, რომ ეს კანონი საკმაო იყო მრეწველობისათვის, მაგრამ მშიერმა, კაცი-ყლაპია კაპიტალმა ამ დროს განმავლობაში შრომის სხვა დარგიც გადააქცია ქარხნებად.

ყველგან ქარხნებია, ყველგან უფლება-აყრილი მუშათა არმიაა, რომელსაც ჰბრძანებლობს ულმობელი კაპიტალისტური კანონი.

განა ქარხნები არ დარქმის ყველა უნივერსალურ მაღაზიებს, სადაც 5—6 ათასი კაცი და ქალი მსახურებს? განა ქარხნები არაა—ცხენის რკინის გზები, ტრამვაები, გემების საზოგადოებანი, ბანკები, სადაც აურებელი ხალხია ჩაბმული მუშაობაში? ეს დაწესებულებანი დღითი დღე იზრდებიან და იმათ ჰპატრონობენ არა ხორც შესხმული ადამიანები, რომელთაც გული უცემთ და შებრალება იციან, არამედ უსულო და უსახელო ფულის საწყობები.

ყველგან, ყველა მიხვეულ-მოხვეულში, ყველა კუნჭულში, სადაც განუწყვეტელ მუშაობას და ტანჯვაში ატარებს ცხოვრებას დაჩაგრული ადამიანი, უნდა ჩაიხედოს კანონმა თავისის პირუთვნელ, უანგარო თვალით.

* * *

იმავე გაზეთში საინტერესო სტატისტიკური ცნობებია მოყვანილი რკინის გზებზე მოსამსახურეთა შესახებ.

საშუალო რიცხვით რუსეთის რკინის გზებიდან დათხოვნილთა პროცენტი 19-ა, ზოგჯერ

ფელეტონი

სასცენო მუშაობა

სათეატრო სეზონამდე დაიწყო ბ-ნმა სცენის მოყვარემ ლაპარაკი რეჟისსურაზე. დღევანდლამდე რაც მწერლობაში და მის გარედ საზოგადოებაში გამოთქმულა, ამ წერილებშია შეერთებული და უმეტესის დაახლოვებულის ცოდნით და დაკვირვებით გამოხატულია დღევანდელი სურათი ჩვენის თეატრის ცხოვრებისა. იგივე გაიმეორა მოკლედ ბ-ნმა კალამმა ერთ წინა კვირის ფელეტონში.

ლაპარაკი იმან დაბადა, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში საუბარი ჰქონდათ, როგორ დავაწესოთ: მორიგეობით მოვიწვიოთ რეჟისორები, თუ მთელ სეზონს ერთი რეჟისორი ვიყოლიოთო. როგორც ვიცით, უკანასკნელ ხანში გამგეობას მოუწვევია ბატონი აკაკი წერეთელი და ისიც დათანხმებულა. არ ვიცით, მთელი სეზონისთვის მოუწვევიათ, თუ რამდენისამე წარმოდგენისათვის. მაშასადამე რეჟისსურაზე ლაპარაკი უფრო თეორიული უნდა იყოს და ამის შესახებ შეიძლება იკამათონ ბატონმა სცენის მოყვარემ და ბატონმა კალამმა. პირველის აზრით, რეჟისსურის უკეთესად მოწყობისათვის საჭიროა, რომ ამ თანამდებობის ამსრულებელი მთელის სეზონისთვის ამორჩეულ იქმნეს გამგეობისა და არტისტებისაგან და მას თანაშემწეც მიუჩინონ. მეორეს აზრი არის მორიგეობით დანიშნოს გამგეობამ რეჟისსორი. არაფერს ამბობს თანაშემწეზე და არც არტისტების მონაწილეობაზე რეჟისსორის ამორჩევის დროს.

მართალი რომ ვთქვათ, ეს სულ ძველი ლაპარაკია ახალის ვარიაციებით, რომელიც ყოველ წელს, ყოველ სეზონის დაწყებისას იმართება და წინ წასაწევად საქმეს-კი ვერაფერსა შველის. ეს ათასჯერ ნათქვამი და დაღეჭილი იქმნება საჭირო იყოს მუდამ გადაბრუნ-გადმოაბრუნონ, მაგრამ ამდენ ლაპარაკს ხომ საქმეც უნდა მოჰყვეს. ეს არის, რომ არ მოსდევს და ისევე გასართობ მუსაიფად რჩება.

რა გამოდის ამ ლაპარაკიდან: გამგეობა სუსტიაო, არტისტებს დისციპლინისა არა ესმით რა, რეჟისსორს აკლია, რაც სპექტაკლის რიგიანად მოწყობას ეკუთვნის, რეპერტუარი სუსტია და სულ ბოლოს იმაზე მიდგება, რომ მიზეზი უსახსრობააო. ამაზე შეჩერება და ამ თემაზე გაუთავებელი ლაპარაკი განა რასმე უშველის?

საფიქრებელი ის არის, რომ ამისთანა უფულობის დროს საქმიანმა სიყვარულმა გამოიჩინოს თავი, გააკეთოს გასაკეთებელი, გააძლიეროს და გაამტკიცოს. განა პირზე არ აკერია ყველას, რომ შრომაა პირველი შემქმნელი ყოველის საქმისა? რაკი სულიერს სფერას ეკუთვნის რომელიმე საშრომი, იქ სიყვარული საქმისათვის ყოფილა, არის და იქმნება შემოქმედებით ძალა წარმოებისა, შეიქმნელი სულიერის ღვაწლისა, გონებითის ნაწარმოებისა.

ვჩივით და ვტირით უფულობას, უსახსრობას. დიაღ, უსახსრობა ხალხისა და საზოგადოებისა ცხადია. მაგრამ ისიც ცხადია, ისეთ ნივთიერ უსახსრობის საფეხურზე არა დგას ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ქონებრივი ძალა, რომ ველურ ხალხებისას არ აღემატებოდეს. ჩვენი ნივთიერი ყოფა იმდენად ასულა კულტურის საფეხურამდე, რომ ღონისძიებას გვაძლევს ხელოვნებასა და მეცნიერებაში რამე გავკვალოთ და ჩვენი სულის ძალ-ღონე გამოვიჩინოთ. ჩვენი საგლოველი და სატირალი უფულობა, უსახსრობა იმდენად არ არის, როგორც სულიერი და გონებითი ულონობაა.

საიდანაც გინდათ უტრიალოთ, ბოლოს იმაზე მიხვალთ, ჩვენი თეატრის საქმის ერთი მთავარი საზრუნველი საქმე რეპერტუარის სისუსტეა, პიესების ნაკლებობაა. ამ მხრით აგერ ოც-და-ათი წელიწადია ხშირად პრემიებს ნიშნავდნენ ახალ პიესების შესაძენად. მაგრამ ნახეთ, ფულმაც კი ვერ გამოიწვია სასცენო მწერლები. მოუტანიათ ბევრი ნაწერები, მაგრამ არ გამომდგარა. იმავე დროს-კი საქმის სიყვარულით ნაწერი ან ნათარგმნი ყოფილა ჩვენის თეატრის სულის ჩამდგმელი. მაშ ისევ სიყვარულს გაუკეთებია საქმე და არა ფულს, პრემიას.

ქართული თეატრი შეჰქმნა საქმის სიყვარულმა და არა ფულმა, შეჰქმნა ერთგულობამ და არა თავმოყვარეობამ ან პატივ-მოყვარეობამ; შეჰქმნა შეგნებამ, რომ იგი სამსახურია ქვეყნისა, წინსვლისა, კულტურისა, თვით-ცნობიერებისა, იგი სკოლაა ვრცელი და მწვრთნელი კეთილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი 40-მდის აღის; ამავე დროს გერმანიის რკინის გზებზე დათხოვნილთა პროცენტი მხოლოდ ხუთია. კერძოდ სხვა-და-სხვა გზებზე დათხოვნილ მოსამსახურეთა პროცენტი შემდეგია: ციმბირის რკინის გზაზე—36, კავკასიაზე—26, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე—23 და სხვ.

ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ 1899 წელს რუსეთის ყველა რკინის გზებზე 240,000 კაცი მსახურებდა, ამათგან ერთ წელიწადზე ნაკლები უმსახურნია 42,880 კაცს (18 პროცენტი), ერთი წელიწადი—35,636; 2—5 წლამდის—80,476 კაცს (66 პროცენტი); 6—10 წლამდის—36,479 კაცს (15 პროც.); 11—24 წლამდის—40,121 კაცს (16 პროც.); 25 წელიწადი უმსახურნია—1,185 კაცს და 25 წელიწადზე მეტი 4,856 კაცს (1,8 პროც.)

ამ სიიდან სჩანს, რა ხშირად იცვლებიან ჩვენ რკინის გზებზე მოსამსახურენი. ამის მიზეზი, ერთის მხრით, ის არის, რომ ბევრი ახალი გზები შენდება, სადაც გადადიან ეს დათხოვნილი მოსამსახურენი. უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ რკინის გზებზე დაბალ მოსამსახურეთ არ ჰყოფნისთ საცხოვრებლად მცირე ჯამაგირი და სხვაგან ეძებენ სამუშაოს. ერთად-ერთი გზა ამ სამწუხარო მოვლენის ასაცილებლად ის არის, რომ რკინის გზის მოსამსახურეთ, ერთ და იმავე ადგილზე ყოფნის დროს, სადაც ისინი კარგად ცნობილ საქმეს ასრულებენ, დრო-გამოშვებით, პერიოდულად მიემატოთ ჯამაგირი. ამ საშუალების საჭიროებას ამტკიცებენ გერმანიის რკინის გზები, სადაც კარგა ხანია, რაც ამნაირი წესია შემოღებული, და ჩვენი ვარშავა-ვენის რკინის გზა, სადაც აგრეთვე შემოღებულია ეს წესი და ამიტომ იქ ერთობ მცირეა დათხოვნილთა პროცენტი (5).

ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო გზათა სამინისტროს განუზრახავს დაადგინოს, რომ ყველა მოსამსახურეთ, რომელთაც 1,200 მან. ნაკლები ჯამაგირი ეძლევათ წელიწადში, ერთ და იმავე გზაზე და ერთ და იმავე ადგილზე სამის წლის სამსახურის შემდეგ მიემატოს ჯამაგირის 5 პროცენტი იმ პირობით, რომ ეს მომატება არ აღემატებოდეს ნახევარს პირვანდელ ჯამაგირისას, რომლიდან ეს მომატება დაიწყო და თუ მოსამსახურე უმაღლეს ადგილზე და მომეტებულ ჯამაგირზე გადაიყვანეს, ეს დამსახურებული მომატება მოესპოს და ახალი ჯამაგირის მიხედვით სწარმოებდეს.

ყურძნით წამლობა

რუსეთში ძლიერ გავრცელებულია ყურძნით ექიმობა ავადმყოფებისა. ამისთვის ამორჩეულია სამხრეთი ყირიმი, იალტა და იმის ახლო-მახლო მდებარე ადგილები. სეზონი ყურძნით ექიმობისა იწყება 15 აგვისტოს და გრძელდება თითქმის სექტემბრის დამლევამდე. დიდ-ძალი ხალხია ამ დროს ყურძნით საექიმოთ მოსული რუსეთის ყოველ კუთხიდან იალტასა, გურზუფსა, ალუშტასა, ალუპკაში და სხვა-და სხვა ადგილებში. გირვანქა ყურძნის ფასი 10—40 კ. აღწევს. საუკეთესო საექიმო ყურძნებათ ითვლება: შასლა, პედრო და სოტერნიანუ სემილიონი. ყირიმში ამ ჯიშის ვაზის ყურძნები მწიფეა აგვისტოს დამლევს.

ჩვენში-კი, ქუთაისის მაზრაში, დიმს 10 ივლისს სრულად მწიფე იყო ყოველ-გვარი შასლა. აქ, ბაღდათის მახლობლად, ფრანგ ვ. ი. ტიებოს აქვს დამყნილ ვაზის ვენახი და მდიდარი საექიმო და სასუფრო ვაზების სორტიმენტიცა აქვს. შასლა ამ ვენახში მრავალ-გვარია: შასლა ოქროს-ფერი, შასლა თეთრი, შასლა ვარდის ფერი, შასლა იის ფერი, შასლა წავარდისფრო, შასლა დე ნეგრეპონი, შასლა ბესონი, შასლა ანჟევენი, შასლა კულარდი, შასლა სიუტა, შასლა ნაპოლეონისა, შასლა იესოსი. ზოგი ამათგანი, როგორც ზევით ვსთქვით, 10 ივნისისათვის მწიფე იყო და 15 აგვისტოს უკვე მოლეული იყო, დარჩა მხოლოდ შასლა ნაპოლეონისა და შასლა იესოსი. აგრეთვე აგვისტოს პირველ რიცხვებში პედრო და სემილიონიც მწიფე იყო.

მაშ, შედარებით ყირიმთან, ჩვენში ბევრად უფრო ადრე მწიფდება ყურძენი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნით მოექიმეთათვის: იმათ შეეძლებათ, აქაც რომ ისე იყოს საქმე მოწყობილი, როგორც ყირიმშია, ჯერ აქ მოვიდნენ და 10 ივლისიდან იექიმონ დამლევ აგვისტომდე და შემდეგ ყირიმისაკენ გაემგზავრნენ და იქ განაგრძონ ექიმობა. მაგრამ მარტო ვ. ი. ტიებოს ბაღი ვის ეყოფა!? ამ შემთხვევას ყურადღება უნდა მიაქციონ აქაურმა მცხოვრებლებმა, რომ, რაც შეიძლება, გაამრავლონ საექიმო ყურძნის ვაზის ჯიში. სასურველია, აგარაკებიც დაარსდეს, სადაც ავადმყოფებს საექიმოდ მოსვლა და დგომა შეეძლოთ. გზა მშვენიერი, სააგარაკო ადგილები მშვენიერი, ჰაერიც კარგი, ყურძენი ხომ ადრეც და მშვენივრად მწიფდება.

მაგრამ ვეჭვობ მოვესწრო იმას, რომ ჩვენში ყურძნით მოექიმეთათვის აგარაკები გაკეთდეს და ყურძნით ექიმობის სეზონი დაარსდეს.

მევენახე.

თეატრი

სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ ბეზიეს ყოველ წელიწადს ზაფხულობით იმართება ეგრედ წოდებული საარტისტო დღესასწაულები. წელს ეს დღესასწაულები ამ ორის კვირის წინად დასრულდა. იმართება წარმოდგენები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის ყველა კუთხიდან შეკრებილი არტისტები, მუსიკოსნი, მომღერალნი, ხორისტები, ბალეტის მოცეკვავენი და სხვანი. წარმოდგენებისთვის განსაკუთრებული ადგილია „არენა“, სადაც 17 ათასი კაცი ეტევა. არენა ცირკის მაგვარია და ზევიდან არაფერი აქვს გადახურული.

—

ჩხარი. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ივლისის 27-ს წარმოდგენა გაიმართა ჩხარში სამკითხველოს სასარგებლოდ, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. მეორე წარმოდგენა გაიმართა 17 აგვისტოს. სცენის-მოყვარენი ამ წარმოდგენისთვის უფრო მხნედ ემზადებოდნენ. უნდოდათ წინანდელზე უფრო კარგად წარმოედგინად, რაც კიდევაც აასრულეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო. წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“, „ადამ და ევა“, „გაცრუებული იმედი“ კარგად ითამაშეს „ადამ და ევა“-ში ს. ჯუღელის ასულმა და ბ. ქავთარაძემ (თამროსა და ივანიკეს როლები), „გაცრუებულ იმედში“ (სტეფანე), „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“-ში (ოსეფა) ბ. ლოლაძემ. დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა. საერთოდ წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, მხოლოდ შემოსავლის სიმცირემ დაიღონა ყველა. ორსავე წარმოდგენის შემოსავლით ჰფიქრობენ წიგნთ-საცავის დაარსებას. მაგრამ თუ თვითონ გაჭირებმა და ადგილობრივმა ინტელიგენციამ ხელი არ შეუწყოს და წევრებად არ ჩაეწერნენ, წარმოდგენის ფულით სამკითხველოს ვერ დააარსებენ.

შეგისაგა

—

სოფ. გუბი. 9 აგვისტოს გუბში წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს: „დედა და შვილი“, ი. ჭავჭავაძისა, „მონადირე“ გუნიასი და „ცოლქმრობის წინააღმდეგი“ აწყურელისა. დასდგეს აგრეთვე ბუნდოვანი სურათები. ხალხი სიამოვნებით დაესწრო.

მ—ა.

წერილი თელავიდან

ქუჩების სივიწროვე. — წიგნთ-საცავის საქმეები

ვინც თელავში ყოფილა და სცხოვრობს, იმას კარგად ექმნება გაგონილი თელავის მეტად ვიწრო ქუჩები და გზები. თვით-მმართველობის შემოღების შემდეგ თელავის მამასახლისი ბ-ნი თათუზოვი სცდილობს ქუჩების გაგანიერებას და გასწორებას, მაგრამ ხშირად თვით მცხოვრებნი ეწინააღმდეგებიან. გალავნის აშენება რომ უნდოდეს ვისმეს ქუჩის მხრივ, ნება-რთვა უნდა აიღოს. ერთმა აქაურმა მცხოვრებმა პარკედ ქუჩაზე გალავნის აშენება მოინდომა. ძველ ყოფილ საძირკველზე დაიწყო და ასე უნდა ამოეყვანა გალავანი, რომ გაიგო მამასახლისმა, ბოქაულთან ერთად ნახეს ადგილობრივ, გალავანი გარედ აღმოჩნდა, გაუბეს ლარი, დაუზომეს და უჩვენეს ადგილი, სადაც შეეძლო გალავნის აშენება, მხოლოდ ლარ-გარედ შენება აუკრძალეს და მუშა დაუყენეს. მართალია, იმ ორ-სამ დღეს მუშაობა შეაჩერა, მაგრამ 18 აგვისტოს ადრიანად დაუყენებია ორ-ორი კალატოზი და ხელად კედელი მაღლა ამოსწიეს. ასე ოსტატურად იციან ხოლმე ჩვენში ქუჩების შევიწროვება.

ამ ბოლო დროს თელავის წიგნთ-საცავის კასსა, ცოტა არ იყოს, მსუქანი არის. ჯერ იყო იმის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა 120 მან., მერე სეირნობიდან 130 მ. მეტი დარჩა. წიგნთ-საცავი ბევრ რასმე ჰსაჭიროებს. ამის შესახებ კამათი კრება დანიშნეს 14 აგვისტოსათვის, მაგრამ, კანონიერ წევრთა რაცხვის დაუსწრებლობის გამო, კრება ვერ შესდგა და 17-სთვის გადადეს. დაესწრო 27 წევრი და გაიმართა კრება ივანე როსტომაშვილის თავმჯდომარეობით. ჩამოვარდა ლაპარაკი წიგნების გამოწერის შესახებ. ეხლა წიგნთ-საცავს დიდი ხალხი არ ეტანება, ამისათვის თხოულობდნენ ისეთ წიგნების გამოწერას, რომელიც მიიზიდავდა ხალხს. ზოგი ბაზრის ხალხს დაშორებას, წიგნთ-საცავის სადგომის უადგილო ადგილის მდებარეობას აწერდა. სთქვეს კიდეც, ბაზარში გადავიტანოთო, მაგრამ ამ საქმის გადაწყვეტა ისევ მომავალ კრებისათვის დასტოვეს. კრებამ დაადგინა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენებ წიგნების შესაძენად 25 მანეთს 50 კაპ. მიუმატოს და ამ ჯამით გამოიწერონ წიგნები. ჯერ-კი გამგეობას დაავალეს სიის შედგენა და კრებაზე წარმოდგენა. რადგანაც ავეჯზედაც უკაცრათ არის წიგნთ-საცავი, ამისათვის 40 მან. გადასდეს და 100 მან. კიდევ ახალწლამდე ხარჯის გასასტუმრებლად. დანარჩენი ფული მიუმატეს იმ ფონდს, რომელიც შემნახველ კასსაში ინახება სახალხო თეატრის ასაგებად.

გინმე.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). იყო დრო, როცა სამტრედიაში 5—6 კაცის სურვილზე კეთდებოდა ყველაფერი. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი გავლენაც ჰქონდათ ხალხში ხსენებულ კაცებს თავიანთის მოხერხებით. რაც გინდა კეთილი საქმის შესახებ აღეძრა ვინმეს ლაპარაკი, უიმათოდ ვერაფერს გახდებოდა. ერთს გადაულაპარაკებდნენ თუ არა თავისებურად გლეხებს, საქმე გათავებული იყო, მაშინვე გაიგონებდით აქეთ-იქიდან: „არ გვინდა არ გვინდაო!“ ერთის სიტყვით, საითაც ეს 5—6 კაცი წავიდოდა, ყველა ყოველთვის იმ მხარეს გადადიოდა. ეხლა, საბედნიეროდ, ამ ვაჟბატონებს თანდათან ეკარგებათ ნდობა. ამ დღეებში ადგილობრივ ბოქაულის განკარგულებით მოხდა ყრილობა საზოგადო გზების კეთების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბოქაული შეეკითხა ხალხს: საზოგადო გზებს იჯარით გასცემთ შესაკეთებლად, თუ თქვენვე გააკეთებთ თქვენის ადგილის გასწვრივო. ხალხმა, რასაკვირველია, მოიწონა ეს უკანასკნელი აზრი და თანხმობაც გამოუცხადა ბოქაულს. ხოლო, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მოეწონა ეს აზრი იმ 5—6 კაცს. ამათ მიჰმართეს ჩვეულებრივ ხრიკებს და დაუწყეს ხალხს რჩევა-დარიგება: „ვინ გვიგონია, კაცო, მთა და ბარის გასწორება, ვისაც თავის დღეში გზა არ გაუკეთებია, ის დღეს რავა გააკეთებს, ან იმ კაცს იმდენი ადგილები აქვს და როგორ შეუძლიან იმდენი გზა აკეთოსო“. მაგრამ ამათ, ტყუილად ქუცმაცობდნენ და ყველა რჩევა-დარიგებამ უნაყოფოდ ჩაუარათ. ყველა იმას გაიძახოდა, გეყოფათ რაც სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯეთ, აწი მაინც აკეთეთ თქვენი გზაო... ზოგიერთები უკვე შეუდგნენ თავ-თავიანთ ადგილის პირდაპირ გზის კეთებას, რომელიც სწორედ ყველასათვის სასიამოვნოა, რადგან, თუ იჯარით კეთების დროს თითო-ოროლა მუშა ხრეში ეყრებოდა გზებზე, დღეს სამაგიეროდ ½ არშინის სიმაღლეზე ჰყრიან ყველანი, რაიცა მომავალში აგვაცილებს ტალახის მორევში ცურაობას...

დასასრულ ვურჩევ გულწრფელად სამტრედიელებს, რომ ყველა საზოგადო საქმე უმრავლესობის თანხმობით გააკეთონ და არა მარტო 5—6 კაცის სურვილით, როგორც ეს წინად იყო...

თითქმის ერთი წელიწადი სრულდება, რაც სამტრედიაში საამხანაგო ბორანი გაუქმდა ზოგიერთ პირთა წყალობით, რაიცა ყველა აქაურებისათვის დიდად სამწუხარო იყო, მაგრამ ბოლო დროს ყველამ იგრძნო დანაშაული. რკინის თოკი უკვე გააბეს რიონზე და ეხლა ახალ ბორანის კეთებასაც შეუდგებიან, რომელიც მალე მზად იქნება. მხოლოდ საჭიროა რიგიანი მოიჯარადრე იშოვნონ და არა იმისთანა, როგორიც წინად ჰყავდათ.

ბაბუცაშვილი.

სასამართლო

სასტუმროს გაძარცვა

21 აგვისტოს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე რაჭის მაზრის მცხოვრების თედო მახალდიანისა და ქუთაისის მაზრის მცხოვრების ვლადიმერ ჩომახიძისა, რომელთაც ტფილისში „პროგრესის“ სასტუმროზე თავს დაცემა და ბუფეტის გაძარცვა ჰბრალდებოდათ. 1902

ჩივით და ტირით... ჩივილითა და ტირილით არაფრის კეთება არ შეიძლება.

რამოდენა რაზმია ამ ჟამად ჩვენის მწერლობისა? განა მარტო საგაზეთო და სალექსო მწერლობაა ქვეყანაზე, განა არ არის ის სასცენო ხელოვნება დიდად საპატიო, რომ მის შესწავლას, შეთვისებას და მისთვის შრომას არ მოანდომოს კაცმა დრო და მომჭირნეობა? გასაკვირველია... განა ისე ხელმიუწვდომელია ევროპის სათეატრო ლიტერატურის გაცნობა, განა ისე ძნელია დრამის ტეხნიკის თეორიის შესწავლა, თეატრის ისტორიის გაცნობა, განა ამდენ მოკალმეებში ნიჭი და შრომის მოყვარეობა არ მოიპოვება ამაებს გადააბიჯოს?

ვჩივით და ვტირით.

რამოდენა სწავლა დასრულებული ახალგაზრდობაა, რამოდენა სტუდენტობაა უნივერსიტეტებში, დიდ ქალაქების თეატრების მნახველები? ნუ თუ იმათში არ მოიპოვებიან ისეთნი, რომ თეატრი შეჰყვარებოდეთ და გული არ აჰფეთქებოდეთ, ხელი არ აჰქავებოდეთ საცადისათვის. თავი ეცადოთ, გული არ ანთებოდეთ სამსახური იკისრონ ხელოვნების ტაძრისათვის, გულში არაფერს აზრს, გრძნობას არ აეფუროთნოს, რომ მისი გამოცემა, გაზიარება ხელოვნების საშუალებით არ განეზრახოთ და ამ განზრახვისათვის შრომა არ დაეზოგოთ? რა უბედურნი უნდა იყვნენ ეს საბრალონი, თუ ორიოდ გოჯის სიგრძე წერილის ან ლექსის მეტი ვერა შესძლებიათ-რა!

იყო დრო სამუდამო სცენის განახლებისას, გვახსოვს, სტუდენტობამ რა კარგი დახმარება გაუწია ჩვენს თეატრს. ორიოდე წლის განმავლობაში ხუთი-ექვსი რჩეული პიესა გამოჰგზავნა სწორედ შესაფერი ჩვენის თეატრისა და არტისტების ღონისა. ნუ თუ მას შემდეგ ამოდენა ხნის განმავლობაში მოსალოდნელი არ იყო, რომ ამგვარს მეცადინეობას უფრო უნდა მოემატნა ჩვენ სტუდენტობაში?

ტირიან და ჩივიან!

გაათავებენ სწავლას, მოვლენ დღევანდელი სტუდენტებიც და ისინიც მოაყოლებენ წუწუნს, რა გვეშველება, ქართული თეატრი არ გვიკმაყოფილებს ესტეტიურს მოთხოვნილებასაო. რეცენზიებსაც-კი დაგვიწერენ და რიხიანად ბაქი-ბუქს აგვიყენებენ: თეატრში მოსიარულე საზოგადოების მოთხოვნილება გართულდა, განვითარდაო და მეტს ითხოვს, მეტი მოგვეცითო. ის არც-კი გაიტარებს ფიქრში, რომ ერთი მიმცემთაგანიც ის უნდა იყოს. ასე მოდიან ახალი თაობანი, ყველანი იყვედრებიან, ყველანი ითხოვენ და არავინ-კი არ ფიქრობს, რომ მიმცემნიც შეიქნან, რომ მათაც ვალი ადევთ შრომა გასწიონ საქმით და არა სიტყვით.

მართალია, მიმცემობისათვის კაცს თვითონ უნდა ჰქონდეს შეძენილი საუნჯე ინტელექტუალობისა; ამას ეჭირვება მომზადება, თავდადება, ბეჯითი შრომა და ის ძლიერი საფანელი, რომელსაც ჰქვიან ქვეყნის და ხალხის სიყვარული.

ამ სიყვარულს უნდა მივმართოთ და მისი იმედი უნდა გვქონდეს და არა პრემიებისა, ფულებისა. იმან უნდა გაუჩინოს დახმარება ჩვენს თეატრს და ყოველს ჟამს ის უნდა იყოს მისი განმაახლებელი, წინ წამწევი და გამამტკიცებელი. აქ რეპერტუარს შევეხეთ, ესევე ითქმის სცენის ყველა სხვა მხარეზედ.

როგორცა ვთქვით, დღევანდელი ლაპარაკი ჩვენის თეატრის სუსტ მხარეებზე, ძველი ლაპარაკის გამეორება და გამესებაა. იქნება არც ეს იყოს მეტი, მაგრამ საქმე ამით წინ ვერ წაიწევს, თუ ნიშნობლივად გამორკვეული არ იქნება, რა ღონით, პრაქტიკულის (და არა ფანტასტიურის) ღონით, რა საშუალებით საჭიროა დახმარება, რა საშუალება არის ჩვენს საზოგადოებაში, რომ ამის შემწეობით ხელი შეუწყოთ თეატრის საქმეს. ეს რჩევა და ღონისძიების ჩვენებაც მაინც ისევ რჩევა და ლაპარაკი იქნება, ნაყოფი კი იქ იქნება, სადაც ერთგული, ბეჯითი ფაქტიური თანამშრომლობა, ფაქტიური მოქმედება და ახლო მონაწილეობა იქნება სცენისთვის.

თუ გულმხურვალე მსურველი ხართ ქართულის სცენის წარმატებისა, განზე ნუ დგეხართ, შორიდან ნუ ლაპარაკობთ, მოდით ახლოს, შემოიტანეთ თქვენი განათლებული ცოდნა, შემოსწირეთ დრო, მხურვალე და ბეჯითი შრომა, ერთგულება და ზრუნვა მისის წინსვლისათვის. თუ ამის შეძლება, ღონე, მომზადება, ხალისი და გული არა გაქვთ, მტირალნო და მოჩივარნო, თქვენი ლაპარაკი წყლის ნაყვა იქნება.

თეატრი, სცენა ცოცხალი საქმეა. ამას, როგორც ყოველ ცოცხალ საქმეს, სიტყვა და ლაპარაკი წინ ვერ წასწევს. მას ეჭირვება ცოცხალი მოქმედება, თანამშრომლობა, მონაწილეობა, შრომის და ჯაფის გაწევა.

პეტრე უმიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს, 13 დეკემბერს, ღამე, მუშტაიდთან „პროგრესის" ბუფეტის კარებთან მისულა ორი კაცი, ერთს დაურაკუნებია კარები და ქართულად უთქვამს, მე-9 ნომრის კასადები მომეცით. ბუფეტში მარტოს სძინებია ბუფეტის გამგეს გეურქოვს, რომელსაც გაუღია კარები კასადების მისაცემად. ბუფეტში შესულა შეიარაღებული, მოკლე კურტკებში გამოწყობილი, ორი კაცი. ერთს სახე ვაბაღახით ჰქონია ახვეული. ერთს გეურქოვი ხანჯლით დაუჭრია გვერდში და მეორეს მოუთხოვია ფული. გეურქოვს გაუღია დახლი და ნახევრად გამოუწევია; ვერცხლის ფულზე უჩვენებია და უთქვამს, წაიღეთ, ამის მეტი ფული არა მაქვსო. პირ-ახვეულს უკრავს ხელი გეურქოვისათვის და გამოუღია სულ დახლის უჯრა, სადაც ვერცხლის ფულის გარდა ყოფილა 100 მანეთის ოქროს ფული. შემდეგ უცნობები გამოსულან ბუფეტიდან, ჩაუკეტიათ გარედან კარები, გასულან ბაღში და გასდგომიან თავის გზას.

ამ ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ სასტუმროს ორს ყოფილ მოსამსახურეზე—ვლად. ნოშახიძეს და გრიგოლ დეკუზეზე, რომელნიც სასტუმროს პატრონს დაუთხოვნია. ქურდობამდე ბოქაულს ტერ-გრიგორიოვს შეუტყობინებია კარგაჯანოვისათვის, პოლიციის აგენტების ცნობებით, ნოშახიძე და დეკუზე შენს სასტუმროს გაძარცვას უპირობენ და ფრთხილად იყავიო. დეკუზე ჯარისკაცად ყოფილა ადგილობრივ მე-14 გრენადერთა რაზმში. ამ რაზმის უფროსს უცნობებია პოლიციისათვის, რომ დეკუზე კარგა ხანია სამხედრო სამსახურშია და ამ ჟამად დაზარეთში წევსო. ვლადიმერ ნოშახიძეს უთქვამს, 13 დეკემბერს ღამე გავათიე ვლადიმერ ნოშახიძესა და სხვებთანაო. ნოშახიძე დაპატიმრეს. სასტუმროს მსახურს ნიკოლოზ კობიძიას პოლიციისათვის უთქვამს, რომ გ. ს. ნოშახიძესთან ხშირად ვხედავდი მოსკოვნის რაჭის მაზრის მცხოვრებ თედო მახარაძესაო. ვნახე ისინი სასტუმროს გაძარცვის საღამოსაცაო. მახარაძეც დაუპატიმრებიათ. ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა 21 აგვისტოს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ნოშახიძე, რომელსაც გადაუწყვიტა ყოველსავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 8 წლით გაგზავნა. დეკუზე მახარაძიანი სასამართლომ გაამართლა.

სხვა და სხვა ამბები

ქალებით ვაჭრობა. ამ სამარცხვინო ვაჭრობასთან საბრძოლველად გერმანიაში არსებობს საერთო კომიტეტი. ამას-წინ კომიტეტის მდივანი ვაგნერი ხმელთა შუა ზღვის ნავთ-სადგურებში ყოფილა ცნობების შესაკრებად იმ გერმანელ ქალების შესახებ, რომელნიც ამ ნავთ-სადგურებში „გაუჟუღნიათ". აღმოჩნდა, რომ სადგურებში გერმანიიდან შედარებით ცოტა ქალი იგზავნება. კონსტანტინეპოლს, მაგალითად, საროსკიპო სახლებში სამი გერმანელი ქალი ყოფილა და 103 ავსტრიელი, 11 სერბიელი, 35 რუმინელი და 6 ბოლგარელი. „საწყობ" ადგილად, საიდანაც სხვა-და-სხვა კუთხეში ქალებს ჰგზავნიან, ქალაქი გენუა ითვლება. ისე დღე როგორ გაივლის, რომ ამ ქალაქიდან ავსტრიისკენ 20—30 ახალგაზრდა, ზოგჯერ ძალიან ლამაზი, ქალი არ გაისტუმრონ. პოლიციას არ შეუძლიან რომელიმე ქალი დაიჭიროს და სამშობლოში გაისტუმროს, რადგან ყველას ქაღალდები წესსა და რიგზე აქვს და ყველა იმას ამბობს, მომღერლები ან მოცეკვავენი ვართო. ბევრ ქალს ჰგზავნიან ალექსანდრიასა, ქაიროს, კაპშტადტსა და ინდოეთში. უმთავრესად ამ ადგილებში ჰგზავნიან რუსის ქალებს და ავსტრიელებს. არგენტინასა და ბრაზილიაში (ამერიკაში) ქალებს ლისაბონსა და ბორდოს გზით ისტუმრებენ. ზემოხსენებულმა ვაგნერმა წინადადება შეიტანა საერთო კომიტეტში, განსაკუთრებული ზედამხედველობა დაწესდეს შემდეგ ქალაქებში: გენუასა, ტრიესტსა, ნეაპოლსა, კონსტანტინეპოლსა, ალექსანდრიასა, ბორდოსა და ლისაბონში. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ რუსეთმა, ავსტრიამ, იტალიამ ინგლისმა, საფრანგეთმა და ესპანიამ. ჰფიქრობენ, შემოდგომაზე შვეციაში საერთაშორისო კონფერენცია მოახდინონ.

მომხმარებელი საზოგადოება. მეტად მდიდარი და კარგად მოწყობილი მომხმარებელი საზოგადოება არსებობს ჰამბურგში. ამ საზოგადოების ვაჭრობა რამდენსამე ათ მილიონს აღემატება. საზოგადოებას ყველა უბანსა და თითქმის ყველა ქუჩაზე საკუთარი განყოფილება აქვს. საქონელს 18 პროცენტით ნაკლებ ჰყიდის, ვიდრე სხვა ვაჭრნი. საზოგადოებას აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბლომად შეისყიდოს ხოლმე ფქვილი, შაქარი, ყავა და სხვა და შემდეგ იაფ-ფასად ჰყიდოს. მუშებსაც დახმარებას უწევს საზოგადოება; იმის განყოფილებებში დიდ-ძალი ქალი და ოჯახის მამა მუშაობს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აგვისტო

ლიბავა. ზღვაოსანთა ახალ ეკკლესიაში საგანგებო ლოცვა გადაიხადა პროტოპრესვიტერმა ჟელობოვსკიმ. ეკკლესიას აკურთხებენ პარასკევს.

ეკატერინოსლავი. საერობო ექიმთა კრება შეუდგა იმ საკითხის შემუშავებას, თუ როგორ უნდა გაერთიანდეს მკურნალობის საქმე საერობო დაწესებულებებსა და ქარხნებში.

კიევი. მამა იოანე კრონშტადტელი კიევში მოვიდა.

სამარა. საბჭომ დაადგინა, ტურგენიევის გარდაცვალების დღიდან 25 წლის შესრულების გამო ერთი სამ-კლასიანი სასწავლებელს ტურგენიევის სასწავლებლის სახელი უწოდოს.

ლონდონი. ლონდონის ბანკმა ოფიციალური დისკონტი 3-დან 4%-მდე ასწია.

ნიჟნი ნოვგოროდი. ვოლგაზე, ქალაქიდან ექვსის ვერსის მოშორებით, გემი „ევდოკიმ" დაიწვა. ხალხს უბედურება არა მოჰსვლია-რა.

ჰააგა. ვენეცუელის დავის გადასაწყვეტად შეკრებილ სამედიატორო სასამართლოს სხდომის დროს 19 აგვისტოს (1 სექტემბერს). სამედიატორო მოსამართლის მურავიოვის თანადასწრებით ინგლისის წარმომადგენელმა მოითხოვა, სხდომა გადავდოთო, თუმცა ამავე დროს გამოაცხადა, არც თუ იმისი წინააღმდეგი ვარ, რომ მოლაპა- [illegible] ელის წარმომადგენელი არ დასთანხმდა, რომ მოლაპარაკება დაწყებულიყო. მურავიოვმა სხდომა დახურა.

სტამბოლი. აქ ხმას ავრცელებენ, ვითომ ადრიანოპოლში საშიში ამბები ჰხდებოდეს, მაგრამ ეს ხმები არა მტკიცდება.—აქაურ ვაჭრობას დიდი ზარალი ეძლევა იმის გამო, რომ აქ ხმა გავრცელდა, ვითომ ოსმალეთს ბოლგარიისათვის ულტიმატუმი გაეგზავნოს და ვითომ მალე ომი დაიწყოს.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს კრებაზე დელკასე მოითხოვს, რომ აღმოსავლეთის ზღვებში კიდევ გაიგზავნოს გემები.

კლერმონ ფერანი ალლუმის დროს ოფიცრებს რამდენჯერმე თოფი ესროლეს. არავინ არ დაჭრილა. საქმეს იძიებენ.

ვენა. ინგლისის მეფე განსაკუთრებულის სამეფო მატარებლით ლონდონს წავიდა. იმპერატორმა ვაგზლამდე გააცილა. იმპერატორი გულ-წრფელად გამოემშვიდობა მეფეს. მეფემ განსაკუთრებულ აუდიენციაზე მიიღო გოლუხოვსკი.

სტამბოლი. გემ „ვასკატუზე" აფეთქება 18 აგვისტოს მოხდა ბურგასიდან 16 მილის მანძილზე. ამბობენ, კაპიტანს გარდა, კიდევ 26 კაცი მოკვდა აფეთქების დროსაო. გემი 19 აგვისტოს უნდა მისულიყო სტამბოლში, ჰფიქრობენ, რომ აფეთქება აქაურ ნავთსადგურში უნდა მომხდარიყო ხონთქრის ტახტზე ასვლის დღესასწაულის დღესაო.

ვენა. „ნ. ფ. პრესე"-ს სწერენ სერბიიდან, ის ოფიცრები, რომლებსაც მეფე-დედოფლის მოკვლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, გაბედვით თხოულობენ, რომ დამნაშავე ოფიცრები სამხედრო სამართალში მიეცნენ და კანონიერად დაისაჯნენ; ეს ჯარის ღირსების დასაცველადაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოფიცრები იმუქრებიან, ყველანი სამსახურიდან გადავდგებითო.

პორტ-არტური. მოქალაქეებმა გადასწყვიტეს, მეფის მოადგილის ალექსეევის პატივსაცემლად იმის სახელობაზე ორი სტიპენდია დავაარსოთო, რადგან აქაური სასწავლებლები სულ ალექსეევის მხნეობისა და თაოსნობის წყალობითაა დაარსებულიო. სტიპენდიები უმაღლესის სწავლის დასამთავრებლადაა დანიშნული: ერთი—რეალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებულისათვის და მეორე—საქალებო გიმნაზიაში კურს დამთავრებულისათვის. ჯერ 200 თუმანი შეჰკრიბეს.

22 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ავადმყოფობაში შესამჩნევი ცვლილება არა მომხდარა-რა: გული რიგზედ მუშაობს; ტემპერატურა ნორმალური აქვს; მადა და ძილი საკმაო აქვს.—შინაგან საქმეთა მინისტრი რამდენისამე ხნით პეტერბურგიდან წავიდა და პოლიციის დეპარტამენტში საქმეები მიანდო თავის ამხანაგს დურნოვოს.

მოსკოვი. მოკლული ახალგაზრდა კაცი, რომლის გვამიც ბრესტის სადგურში გამოჰგზავნეს კალათით, აღმოჩნდა ვილნოს მემამულე ტომაშევსკი.

მონპელიერი, 20 აგვისტოს ლუბე პარიზს წავიდა.

სოფია. მთავარმა ევქსინოგრადში გაიხმო გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრები საქმეთა ვითარების გასაცნობად. შინაგან საქმეთა მინისტრი თხოულობს საერო კრების დაუყოვნებლივ დათხოვნას და ახალ არჩევნების დანიშვნას, რომ შეადგინონ მთავრობის მომხრეებისაგან ახალი პალატა. ჰფიქრობენ ამ საძნელო მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ კოალიციურ სამინისტროს შედგენით.

ლიეჟი. მიხეილოვის ბაზრობაზე ყველა ქვეყნების წარმომადგენელნი იყვნენ; იმათ რიცხვში რუსეთიდანაც ბევრი ვაჭარი იყო. ახალი სწრაფი და იაფ-ფასიანი მიმოსვლა იაპონიასა, ჩინეთსა, ციმბირსა და ევროპის შუა, ციმბირის და ჩინეთის რკინის გზების და დალნისა და იაპონიის შუა გემების სიარულის მეოხებით დიდ ეკონომიურ ცვლილებას მოახდენს.

ბელგრადი. საფრანგეთში მყოფმა სერბიის ელჩმა ტომაშევიჩმა გაზ. „მატენ"-ის რედაქტორი ქიფარი გამოიწვია დუელში სერბიის ოფიცერთა შეურაცხყოფისათვის.

ს. ვლეჩანში, მაკედონიაში, ორი მღვდელი ჩამოარჩეს ოსმალთა ჯარის-კაცებმა. მეორე მღვდელს ყურები მოსჭრეს.

ლიბავა. იმპერატორ ალექსანდრე III-ის ნავთ-სადგურში მოვიდნენ 21 აგვისტოს საიმპერატორო იახტები „შტანდარტი", „პოლიარ. ზვეზდა" და კრეისერი „სვეტლანა".

კლერმონ ფერანი. ზოგიერთი გაზეთების ცნობები ოფიცრების მოკვლის განზრახვის შესახებ ტყუილია.

სტამბოლი. გუშინ სულთანი ინახულეს 10-მა არა მუსულმანთა სამღვდელო პირმა. იმათ სახელით მსოფლიო პატრიარქმა სულთანს მიულოცა ტახტზედ ასვლის წელიწადი. სულთანმა სთქვა, რომ იმის მუდმივ ზრუნვას შეადგენს ყველა მის ქვეშევრდომთა კეთილდღეობა ნაციისა და სარწმუნოების განურჩევლად. მსოფლიო პატრიარქის სიტყვაზე, რომელშიაც ამ უკანასკნელმა მეამბოხენი გაჰკიცხა, სულთანმა სთქვა, რომ მოძრაობა, რომელიც რამდენსამე პროვინციაში დაიწყო, უნდა გარეშე წამაქეზებელთ მიეწეროსო. იგი იმედოვნებს, რომ მოძრაობა მალე შეყენებულ იქნება და ნანობს, რომ ზოგიერთა ჯარის-კაცმა ძალმომრეობა იხმარა, თუმცა ეს იმის ბრძანებით კი არა ყოფილა. იმის მისწრაფება ის არის, რომ ქვეშევრდომნი ბედნიერად და მშვიდობიანად სცხოვრებდნენ. იქ მყოფ სამღვდელო პირებს მიანდო, რომ მათ თავის თანამორწმუნეთ აუწყონ სულთანის მამობრივი გრძნობები. „ღმერთი იყოს მოწამე ჩემი სიტყვები წრფელობისა"—დაამთავრა სიტყვა სულთანმა. სულთანი დაჰპირდა ბოლგარიის ეგზარხოსს, რომ ის მონაწილეობას მიიღებს დაზარალებულ ბერძენთა სასარგებლოდ ფულის შეკრებაში. სულთანის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ბუდაპეშტი. გემი „Boskany" ბურგასში მოაცურეს. აფეთქების მიზეზი ჯერ არ იციან. ეს კი იციან, რომ ეს აფეთქება ქვაბის უვარგისობას არ მიეწერება, რადგანაც ქვაბიც და მაშინაც დაუზიანებელია.

ათინა. გემიდან მოყვანილ მატროსს შავი ჭირი არ გამოაჩნდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ლ. კუზანოვისა

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლისთვის და იყვანს პანსიონერებს. მიღება დაიწყება 21 აგვისტოდან, ხოლო სწავლა—1 სექტემბრიდან. სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ., ს. საგარდო-პასერბსკისა № 26. (4—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 26 აგვისტოს, შუადღის 12 საათისთვის, გამგეობისავე თანადასწრებით, ხელ-ახლა ინიშნება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა **ახალნაძალადევში მიწის ნაჭრები.** ვისაც მიწების აღება უნდა, იმან 26 აგვისტომდე უნდა წარადგინოს მოწმობა პოლიციისაგან, რომ იგი ხარჯის გამღებ წოდებას ეკუთვნის და ტფილისის თვით-მმართველობაზეა მიწერილი. თუ სხვა წოდებას ეკუთვნის, უნდა წარადგინოს მოწმობა: რუსეთის ქვეშევრდომმა იმის შესახებ, რომ ქალაქ ტფილისში 5 წელიწადზე მეტი უცხოვრია, სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომმა—რომ 10 წელიწადზე მეტი უცხოვრია. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიანთ იმათ, ვისაც ქალაქში უძრავი ქონება აქვთ და არც იმათ, ვის შვილებსა და ცოლებსა აქვთ ასეთი ქონება. მონაწილეობას ვერ მიიღებენ აგრეთვე ისინი, ვისაც იჯარით ქალაქის მიწა აქვთ აღებული. (2—ნ.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებელ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—219)

ცინკოგრაფია

ტფილის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

განჯის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 373.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)